



ამონაკვეთსი

ულაბნოს ქვიშა, — მიწიერი — ქვიშა დაფარავს,
 გაჰქრება შენი სილამაზე ჯავარ-აყრილი,
 ოცნების სიო საიდუმლოს ველარ მოგპარავს,
 შენი ჯილდოა სასაფლაო შავად გათხრილი.

*

მე კი... ოჰ! მე კი ცას ვეკუთვნი, შენი ვარ ღმერთო!
 მე ზეცას ვიშვი, შენ კი აქ, ძირს დაბადებულხარ,
 შე აბა რა ხარ და ჩემ სულთან რა გაქვს საერთო?
 ჩამოსწყდი ჩემს სულს, გამეცალე! მძულხარ... ჰო, მძულხარ!

*

შენი ცრემლები მთლად წალეკა ნების ტალღამა
 ჩემი ცრემლი კი მზემ ასწურა. ღრუბლებში ზევით,
 შენი ოცნება სინამდვილემ ჩააბალღამა,
 ჩემს ობოლ სულს კი ენატრება კენესა შეფრვევით.

*

დაე, ცხოვრებამ მძაფრი ტალღა მტყორცნოს, მესროლოს,
 აღოქმის ქვეყანას ველარ დააზრობს ნისლი უტეხი,
 ჩემს ოხვრას და ცრემლს, ჩემს გოდებას უსწორ-უტოლოს
 უნდა დაერქვას: ქარიშხალი, წვიმა და მეხი.

ი. გრიშაშვილი.



ი. გრიშაშვილი.

(იოსებ მამულაიშვილი).

ეჰ, ვინ მოსთვლის, სად არ ვიყავ
 ვის გუდს მე არ ჩაუქროვე,
 მკვამ მანც ჩემი ღმერთი
 ვერსად ენაზე ვერსად ვზოვე.

„ეჰ, ვინ მოსთვლის სად არ ვიყავ“
 ამბობს პოეტო, ეჰ, ვინ მოსთვლის რა
 არ გამოუტეთია გრიშაშვილს, სად გაზრდი-
 ლა, როგორი ატმოსფერა უსუნთქავს,
 სად გამოქედილა მისი ჩანგი — იტყვის
 ყველა ვინც გრიშაშვილის ბიოგრაფიას
 წაიკითხავს. საზოგადოთ ჩვენ, ქართვე-
 ლებს მეტათ მკაცრი კრიტიკოსები გვეყვ-
 ნან, გამოვა თუ არა სალიტერატუ-

რო ასპარეზზე ვინმე, უსათუთო დასაწყისშივე ისე უნდა დაიწყოს წერა, როგორც ეს მათ მოსწონთ, აკანშივე ისე უნდა სწეროს. თან და თანობა მათთვის არ არსებობს. თუ ისე არ სწერე, როგორც მათ უნდათ, ჩაგკლავენ, გაგაშვებენ, ცრუ მწერლის სახელით მოგნათლავენ. ექვს გარეშეა ჩვენი კრიტიკოსები დაგვეთანხმებიან, რომ ამა თუ იმ მწერლის და საზოგადოთ ყოველი ადამიანის ფსიხოლოგიას, სულის კვეთებას, ცხოვრება და ცხოვრების პირობები სქედს. თუ ეს ასეა, ჩვენ გადაქრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ი. გრიშაშვილს უსათუთო ისე უნდა დაეწყო წერა, როგორც სწერს. ამის დასამტკიცებლათ საქირაა გადავიკითხოთ მისი, ცხოვრების ისტორიის წიგნი, მისი ბიოგრაფია.

ი. გრიშაშვილი (იოსებ გრიგოლის ძე მამულიშვილი) დაიბადა 1889 წელს ქალაქ თფილისში, (ხარაფუხში) მამა მისი იყო ლენის სარდაფის პატრონი. მამამ წერა-კითხვა არ იცოდა და ამიტომ გასაკირი არ არის რომ პაწია იოსებს თავიდანვე სარდაფში უკრა თავი. მამა ცთილობდა შვილისთვის თავის ხელობა ესწავლებია, პაწაწა იოსები სარდაფში ტრიალებს, იქაურ ჰაერს სუნთქავს, ყოველივე სახიზრობას ხედავს, მთვრალ კაცებს, ესმის უწმარული სიტყვები. მისი ბუნებრივთ სპეტაკი მგრძნობიარე გული, ფაქიზი გრძნობა ვერ ურიგდება ამ ატმოსფეროს, ის გრძნობს რომ სარდაფის ზემოთ სულ სხვა ცხოვრება სდლს, მისი ოცნება იქითკენ იტაცებს, მაგრამ ძალა არ შესწევს დახწიოს თავი, ამოძვრეს სარდაფიდან. სინამდვილე, უკუღმართი ცხოვრება მას თვალ წინ უდგას და მის პაწაწა გულს მუხრუქებს უქერს.

მიუხედავთ მამის ასეთი განაჩენისა დედამ პატარა იოსებს ასწავლა წერა-კითხვა. იოსების დედა თუმცა სომხის ქალი იყო, მაგრამ ქართული წერა-კითხვა კარგათ იცოდა. ერთი კვირის განმავლობაში იოსებმა ასოები შეისწავლა. გ. შათირიშვილის რჩევით, როგორც იქნა გადასწავიეტა მამამ და იოსები სათავადაზნაურო გემნაზიაში მიიბარეს. 1897 წელს პატარა იოსები კვფაზე მოგდებულ ქების ქუდი და წელზე შემოკრულ ტილოს აბგიო, ხტუნვით და სიხარულით პირველათ გაემგზავრა სათავადაზნაურო გემნაზიაში. თან და თან მამა დინტერესდა მისი სწავლით, შესცვალა თავისი აზრი. ესლა ის ამაყობდა კიდევ „სწავლოლი“ შვილით. „ნასწავლო ფირუხვ“ დაუძახებდა ხშირათ ის, დასვამდა სარდაფში, გარს შემოხსნებოდენ მეზობელი ვაქრები და აკითხებდენ „ყირამანიანს და სხვა ლექსებს.

1904 წელს იოსებს მამა მოუკვდა, ოჯახი აეწეა და ის იძულებული გახდა სწავლა მიეტოვე-

ბინა. იოსებმა ველარ მიახწია სურვილს, იგემა სწავლა, დაეწაფა მას, მაგრამ ცხოვრების პირობებმა ისევ ჩქარა გამოსტაცეს ხელიდან.

ი. გრიშაშვილი რომ პოეტია და ნიქიერიც ამაში ყველა ჩვენი კრიტიკოსები და არა კრიტიკოსები დაგვეთანხმებიან, შეიძლება ბევრს მისი ლექსები არ მოსწონდეს (შინაარსის მხრით) მაგრამ ნუღაივიწყებენ, რომ გრიშაშვილის პოეზიის საფუძველი იყო „სკანდაროვის და გივიშვილის“ ლექსები „ყირამანიანი“ და სხვა. ამიტომ მას უსათუთო ასე უნდა დაეწყო წერა, (მოიგონეთ მისი ერთი კრებული „ზურნა“, რამაც იდგილი გაიკცვა გამოიწვია ჟურნალ გახტეთებში). გრიშაშვილს არ ჰყავდა მრჩეველ-დამრიგებელი, გზაზე დამყენებელი, ის მხოლოდ „სკანდაროვის“ და სხვათა უაზრო ლექსებით იკვებებოდა. მაშ რა გასაკირია თუ ასე დაიწყო წერა. კიდევ ვამბობ მას სხვაფრით წერა არ შეეძლო. შეუძლებელია აკნიდანვე მაღალ იდეალზე წერა მოვსთხოვოთ ყველას. ეს თვით ცხოვრებამ უნდა ჩააწვეთოს, მან უნდა ასწავლოს. იოსები ნაკლებათ იცნობს ცხოვრებას (ეს მისი ბრალი არ არის) მას აქვს ნიქი, უდგას პოეტური სული. ქრელი, პაწია პებლა მასტე შთაბეჭდილებას ახდენს. მის პოეტურ გრძნობას აღიზიანებს, მას ქალღღუღე გადააქვს თავის შთაბეჭდილება, პოეტურ ფორმებში ასხამს. გრიშაშვილმა რომ სხვა მხრით გაიცნოს ცხოვრება, სხვა რამეც ნახოს, სხვა რამეც გამოსცადოს, დარწმუნებული ვარ მის პოეტურ გრძნობაზე სხვა რამეც მოახდენდა შთაბეჭდილებას და მის ჩანაყიც სხვაფერ აქედრდება. ჩვენ არ შეგვიძლია მას იმაზე მეტი მოვსთხოვოთ, რაც ცხოვრების წიგნი არ წუკითხავს. უზირველეს ყოვლისა ის ნიქიერიც პოეტია, მისი გონების გასავითარებლათ საქირაო სწავლა და სწორით ამ მხრით უფრო საქირაო იყო ყურადღების მიქცევა, ვიდრე „სამარცხინო ბოძზე“ გაკვრა. ამ მხრით მაღლობის ღირსია ქანი ენ. მაჩაბლისა, რომლის ინიციატრობით მას შეუგროვეს ცოტადენი თანხა და რუსეთში გზავნიან სწავლის მისაღებათ.

იოსები კი ჯერ სულ ახალგაზდა და მომავალში მისგან ბევრ რამეს უნდა მოველოდეთ.

მაშ ვუსურვოთ მას სწავლა-მეცნიერებით აღქურვა, პოეტურ ნიქის განვითარება, რომ თავის წკრიალა ჩანგი ძლიერათ აველერბიოს ქართულ ლიტერატურის სასახელოთ.

ციმციმებს ზეცა!

ციმციმებს ზეცა! ელვარებს ზეცა!
 ციური ქნარის კვლავ მემისი ღღერა!
 ვლადღებ მეცა! ვლადღებ მეცა!
 ცის მნათობთ წვდება ჩემი სიმღერა!
 კვლავ შევეუბნოდი ნიავის ქროლას,
 მივინდებ სივრცის მსუბუქ ზვირთებსა
 და ავღვდებ ღრუბელთა სრბოლას,
 დავტოვებ მიწა, ავეკარ მთებსა.
 სულის ტყვეობის დაიმსხვრა ზღუდე,—
 ცის ლივჯარდს ვარხვე ვარსკვლავთ ფერხულში,
 სხივმა ჩაჰფერფლა კავშირს ბუდე,
 რწმენის პატრუქი აინთო გულში.
 მზის სხივებს ვიქერ ვთერის ზღვაზე,
 გვირგვინს ვსწნავ, გვირგვინს უკვდავებისას
 და ქერუბინთა ვალობის ხმაზე
 ჰიმნს ვუთხზავ მყობადს გამარჯვებისას!

ციმციმებს ზეცა! ელვარებს ზეცა!
 კვლავ მემისი ღღერა ციური ქნარის!
 ვლადღებ მეცა! ვლადღებ მეცა!
 ათროლოებს ჩემს ჰანგს ხმა ნიავე-ქარის!

ს. აბაშელი.

სიმონა მათლაფაძე

(დასასრული იხ. სალამური № 16).

სალამოს ექვს საათზე სიმონამ დაკეჭა კარები და ბულვარისაკენ გასწია. ბულვარამდის ორი ევრსი გზა იყო გასავლელი. ჯერ ნახევარი გზაც არ გავე-ლა რომ მის ერთ ყრუ ქუჩაზე ვიღაც თაღ-ნისამოსში გამოწყობილი სიმპატიური სახის ახალ-გაზდა ქალი შემოხვდა; ხელში დაკეცილი ქოლგა ეჭირა; ეტყობოდა რომ, ის თავის სახლიდან ადრე გამოსულიყო და სადღაც დაჰკვიანოდა. იმისი სახის გამომეტყველება, მიხვრა-მოხვრა და სადა ტანისა-მოსი ამტკიცებდნენ, რომ ის შეგებულნი და გაგე-ბული ადამიანი იყო. გაუსწორდა თუ არა სიმონს, შეჩერდა, თამამათ მოუბრუნდა და ზრდილობიანათ დაეკითხა: „უკაცრავით, თქვენ ზომ არ იცით სად არის აქ სახალხო ბიბლიოთეკა?“

მათლაფაძეს რაღაც მეტათ ესიამოვნა ეს შე-კითხვა. „ნამდვილათ ეს არის“, გაუღელვა მას თავ-ში და მოაგონდა სანინის შეხვედრა კარსაფინსთან. „ჩქაც ასე იყო: მოულოდნელი შეხვედრა, მდინარე, ნავი და... სწორეთ ეს არის... წაავაგს მაინც...“

— როგორ არა, — ღმილით მიუგო მან. — მა-რამ ნება მიბოძეთ მიგაცლოთ, — დაუმატა იმწამსვე.

— გმადლობთ, მაგრამ როგორ შეგაწუხით... თუ შორს არ არის...

— არა ქალბატონო, თქვენ თვითონ დარწ-მუნდებით, — უპასუხა მან და გაჰყვა. ქალი ჩუმით იყო და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ერთხანს მათლა-ფაძემ დაწუმებული იყო, მაგრამ შემდეგ რაღაც ისეთი უადგილო კითხვები მისცა ქალს, რომ ქალ-მა უცებ ვერც კი გაიგო თუ რის თქმა უნდოდა მას, და ვერაფერი ვერ უპასუხა. „უკაცრავით მე არ მესმის რაზე ლაპარაკობთ“ — წარბოსთქვა ქალმა ნელის ხმით და ნაბიჯს უღწრო უმატა.

— რა მშვენიერი სალამო არის! ჰაერში ნამდ-ვილი სიყვარულის სუნი ტრიალებს... მაგრამ... მა-გრამ... ჩვენ...“

ქალი ეხლა მიხვდა მისი სულის კეთებას და რომ ყოველ შემთხვევაში რაიმე უსიამოვნებას არ შეეყოფა გადასწყვიტა უსიტყვოთ ჩამოწორებოდა მას. ის ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა, რომ მათლა-ფაძე ორი საყენით უკან ჩამორჩა.

— თქვენ იცით? აქ მდინარეც არის და ზედ ნავეები... თუ სურვილი გექნებათ — ამბობდა ნახევ-რათ გონება არეული მათლაფაძე და ქალს უკან მისდევდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ირონიულათ ჩა-ილაპარაკა ქალმა, რომელსაც მისი ლაპარაკი ეხლა სიცილს უფერო გვრიდა, ვინემ რაიმე შიშს.

— ქალბატონო! აი, ბიბლიოთეკაც! — თითქ-მის უნებურათ მიაძახა ქალს მათლაფაძემ და კი-ბეზე აჩვენა. ქალი სწრაფათ მოტრიალდა და ავი-და კიბეზე. „ჩემც შეველ რამეს წავეითებავ“, — ჩაი-ლაპარაკა სიმონამ და ქალს უკან გაჰყვა. სანა-ბიბლიოთეკის კარებს მიადევნდნენ, მათ უნდა გაეგლოთ მოგონა დერეფანი, იქსანახევროთ ბნე-ლოდა.

— არა, მე აღარ შემოვალ; ნახვამდის ქალ-ბატონო! — რაღაც სხვანაირი ხმით უთხრა მან ქალს, როცა ეს უკანასკნელი დერეფანში შევიდა, ქალი ოდნავ მობრუნდა და ჯნდოდა ბარემ მადლობა გა-დაეხადა და ჩქარა განშორებოდა, მაგრამ მათლაფა-ძემ მას მოულოდნელათ ხელი გაუწოდა ჩამოსართ-მევით, რადგანაც ქალს უნდოდა როგორმე მალე მოშორებოდა ამ ახირებულ ადამიანს, იმანაც არ დაიხარა და ხელი გაუწოდა. მათლაფაძეს საშინლათ აუტეგრდა გული, იმისი სახე ერთიანათ აენტო; მთელი მისი არსება თითქო მოიშალა როცა ქალის ხელს ხელი შეეხა. მან მაგრათ ჩასქიდა ქალს ხელი და თავისკენ მოზიდა.

— ოჰ, შენ გენაცვ... ველარ დაამთავრა მან, რომ მას რაღაც საშინელი სიმწვავეთ მოხვთა თავ-ში. ეს იყო ქალის ტარი, რომელიც თავში — ჩაქ

რა ქალმა. მათლაფაძემ მწარეთ ამოიკენესა და ქალს ხელი გაუშვა. განთავისუფლებულმა ქალმა ერთხელ კიდევ ჩაპრა თავში ქოლგის ტარი და ბობლიოთეკის კარებისაკენ გატრიალდა. მათლაფაძე თითქო გაქვავდა. ის გაწერტებული თითქო ერთ ადგილას იდგა. ცოტა ხანს უკან თითქო გამოირკვაო, თავზე ხელი მოისვა. თავი საშინლათ სტკიოლდა.

— დასწყევლოს ღმერთმა? ეს რა უბედურება მომივიდა თქვენი ქირიმე!.. მწუხარებით გაიფიქრა მათლაფაძემ და მწარეთ დაღვრემილი ისევ ქუჩაში გამოვიდა. ის ეხლა აღარავის უტკეროდა; თავჩაქინდრული მიდიოდა და გულდაწყვეტილი ფიქრობდა: „ახია ჩემზე აკი წელან ვადაწყვეტე ნაცნობებში ეთქი!“

მათლაფაძეს განაპირები ჩაუარა: ამ ამბავს შემდეგ მას ისე წაუხთა ხასიათი რომ, ნაცნობ ოჯახში მისვლა შეუძლებელი იყო. ეს ზეგ—გაიფიქრა მან თავის გულში, როცა ნაცნობის ბინას მახლობლათ ჩაუარა და მწარეთ დაღონებული ისევ თავის ოთახისკენ გასწია

III.

მათლაფაძის ნაცნობი ფოსტის უნცროსი მოხელე სპირიდონ გაჩეხილად 50 წლის კაცი იქნებოდა; ცოლი კი 40 წლისა. მათ ჰყავდათ ოთხი შვილები: ერთი 18 წლის ვაჟი, რომელიც რაღაც მიზეზით გენაზახის მეოთხე კლასიდან გამოსულიყო და ეხლა ადგილობრივ პოლკში „ვოლნოოპრედელიაიუწნაა“ მსახურობდა, სამი ქალიშვილი: ერთი 15 წლის, მეორე, სულ უფროსი ცხრაშვიტისა და, ყველაზე უმცროსი შვიდი წლისა. ის ამიერედი ჯამაგირი, რომელსაც სპირიდონი ლეზულობდა, სანახევროთაც ვერ აქმაყოფილებდა ოჯახურ მოთხოვნილებას მაგრამ ყველანი იმას სცდილობდნენ რომ ეს ოჯახური ვაჭიერება და უსახსრობა გარეგნობით არ დამჩნეოდათ. სპირიდონის უფროსი ქალიშვილები და ცოლი შიმშილს უფრო ადვილათ მოითმენდნენ, ვიდრე ახალ მოდის ქუდის ან კაბის უქონლობას. სტუმრობის დროსაც თავგამოდებულნი იყვნენ რომ კარგი პატივი ეცათ და სირცხვილი არ ეკმათათ. მათ მომაპყდინებულ ცოდვით მაინცდათ თუ სტუმარს სადილს უკან ან საღამოს რძინა ყავას არ მიართმევდნენ ბისკვიტებით. თუ კი ამას შესძლებდა კატო (ასე ეძახდნენ სპირიდონის მეუღლეს) ის მაშინ კმაყოფილი იყო და სტუმარს ხალისით ესაუბრებოდა, მაგრამ ეს ხალისი ხშირათ მხოლოთ სტუმრის წასვლამდის გრძელდებოდა; წავიდოდა თუ არა სტუმარი, კატო გაჯავრებული მოტრიალდებოდა აულაგებულ საწოლისაკენ, წარ-

ბებს უქმაყოფილოთ მოხრიდა და სიბრაზით იტყოდა: „რა უდროვო დროს მეეთრია წყევული! გააგლო ძვალი და წასვლა ვეღარ იფიქრაო“. სპირიდონის ოჯახში ხშირათ მოდიოდნენ სტუმრათ სხვადა სხვა დაწესებულების ახალგაზრდა წერილი მოხელეები, რომლებიც მთელი საღამოობით სანაძლეოზე ნარდს ან კარტს ეთამაშებოდნენ სპირიდონის ცოლსა და ქალიშვილებს.

არც სიმონ მათლაფაძე იყო ძვირი სტუმარი სპირიდონის ოჯახში. მას სხვაზე უფროც კი ეთამაშებოდნენ სპირიდონის ცოლი და ქალიშვილი და ეს სითამაშე უფრო იმაში გამოიხატებოდა, რომ მას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ვინემ სხვებს. ერთი მიზეზი ამისა ის იყო, რომ სპირიდონი სიმონას რაღაცას ენათესავებოდა და მოგვხსენებათ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, ზოგიერთებისათვის. მეორეთ, კატო და იმისი ქალიშვილები ჩუმ და გულჩახოვილ კაცად სთვლიდნენ, რომელსაც ქალების „კავალრობისა“ და ვართობის შნო და უნარი არ ჰქონდა! ზემო დასახელებულ მიზეზებისა გამო მათი აზრით სიმონი აღარც სიძეთ გამოდგებოდა და მამასადამე როგორათაც უნდა მოპყრობოდნენ მას, მეტადრე სპირიდონის ქალიშვილები არაფერს დაკარგავდნენ. ამიტომ მას ყოველთვიურ მას ისე ლეზულობდნენ როგორც შინაურს, რომელიც არც ერთში არავითარ განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდა.

უსიამოვნების მესამე დღეს საღამოთი მათლაფაძე სპირიდონისას გაემგზავრა. მიუახლოვდა მის სახლს, ავიდა ხის კიბეზე და კარებზე დაარაკუნა. კარებზე გაულო მას სპირიდონის უმცროსმა ქალიშვილმა 15 წლის ანეტამ. მან მაშინვე იცნა სიმონი და ღიმილით მოიწვია.

— როგორ ხართ გენაცვალე?.. როგორ გიკითხობთ?“—ნასვამ კაცივით დაეკითხა მათლაფაძე ანეტას, როცა კარებში შვიდი და თამამთ შესცინა. ანეტას სიცილი წასკდა; ასეთი არა ჩვეულებრივი გამოლაპარაკება და თამამი ღიმილი მას არასოდეს არ გაეგონა მათლაფაძისგან და ახლა ძლიერ გაუჰკვირდა.

— თქვენი სიცოცხლე ქალბატონებო!— მიესალმა მათლაფაძე კატოს და მის უფროს ქალიშვილს ცაბოს და ორივეს ხელი მაგრათ ჩამოართვა. სპირიდონი კი ამ დროს სახლში არ იმყოფებოდა. მას ხშირათ საღამოსაც უწევდა კანტორაში მუშაობა და ამიტომ ჯერ არ დაბრუნებულიყო. მათლაფაძე დაჯდა და თითქო დიდი სევდა აწვეს გულზეო, მძიმეთ ამოიგმინა და ძალათ გაილიმა:

— როგორც სხანს მარტონი ყოფილხართ; რა გიშავთ მერე, უკეთესია, უფრო თავისუფლათ იქნებით“.

ის სკოლაშია მგეტის მგეტი მხიარული და თამამი სახე ეჩვენებინა ქალღმისათვის. ქალები ნელა იცინოდნენ და თან დაინტერესებული თვალს აღევნებდნენ მის გამომეტყველებას და მის მიხვრამობებს.

— მართლა სად დაიკარგა ეს კაცი რომ აღარ სჩანს?!—იკითხა ცოტა ხანს უკან კატომ.

— ვინ კაცია?—ცალკეად წარმოსთქვა მათ-ლაფაძემ.

— სპირიდონი.

— მამ! განა გენაღვლებას?.. ის უკვე მოხუცია; შენ კი ჯერ ახალგაზრდას ჰგეგხარ... მოხუცებულებს კი არა ახალგაზრდებს უნდა კითხულობდე კატო, ახალგაზრდებს! ამ სიტყვებმა საერთო სიცილი გა-მოიწვია.

— უი, ჩემი სიკვდილი! რა სთქვა ეს!—სი-ცილით წარმოსთქვა კატომ.

ამ საერთო სიცილით ისარგებლა მათლაფაძემ, ძალდატანებით გადინახარა, შემოაკრა ტაში და ცაბოს, რომელიც მის ახლოს იდგა და იცინოდა მკლავში ხელი სტაცა და ნჯღორევა დაუწყა. მრ-თელმა მისმა სხეულმა კანკალი იწყა; მან სულის თქმას უმატა. მუდამ ჩუმი და მორცხვი მათლაფა-ძისაგან ეხლა ასეთი თამამი, არა ჩვეულებრივი საქ-ციელი ყველას სიცილს იწვევდა და არ იცოდნენ ოს ნიშნავდა ეს. მათლაფაძე წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით პატარა რგვალ სტოლთან მივიდა. მან იქ დაათვალიერა რაღაც ნივთები და ბოლოს ერთ შავ ჩულქს ხელი წაატანა.

— ვისია ეს ჩულქი?—იკითხა მან.

— რა გინდა მეტე ვისიც არის?.. ჩემი ვახ-ლაფს!—ღიმილით მიუგო ცაბომ, რომელიც შორი-ახლოს იდგა და თმაში სავარცხელს ისწორებდა.

— მეტე ეს არის ჩულქი? ჩულქი ისეთი ლა-მაზი უნდა იყვას, რომ როცა კაცმა შემოგხედოს უნდა ესიაიოვნოს, გული აულღელდეს... იშთ...

— ახ არ სთქვი შენ დაწყვედილო!—გააწყვე-ტინეს სიმონს ქალებმა და მის ახლოს გაჩერდნენ, რომ მეტი ლაპარაკი არ დაენებებიათ. მათლაფაძემ ეხლა რაღაც განუსაზღვრელი ნეტარება იგრძნო. ის სიამოვნებით მთვრალი ღიმილით შესტკეროდა ხან ერთს და ხან მეორეს.

— როგორ, ტყუილს ვამბობ თუ?—უტყრათ აკანკალბულის ხმით წარმოსთქვა მან.—აბა დამა-გრდიო!—წამოიტახა მან და ქალების დასაქვრათ ხელები დაატრიალა. ქალებმა სიცილი ასტეხეს და აქეთ-იქით გაიქცნენ, მაგრამ ცაბო მაინც ხელში იგდო, მაგრამ ჩასტაცა ხელები წელში და დაიქნია. მათლაფაძეს ისე აერია ეხლა გრძნობა გონება რომ ცაბოს სიცილ შერეულ კვირის ყურადღებას არ

აქცევდა. ბოლოს ცაბომ უფრო ძლიერათ შექციელა და მანაც ხელი გაუშვა.

— აპა! იგი თქვენს მამ რა გგონიათ!.. სამი-ვემ რომ დამოსიოთ ფაფარს ვერ გამოქანებთ“,—ქშენით ამბობდა მათლაფაძე და შეგნებულათ ცთი-ლობდა მისი მოქმედება ხუმრობაში ჩაეტარებია; და მართლაც ქალები არაფერ ცუდს არ ხედავდნენ მის საქციელში: ისინიც ყველაფერს უბრალო ხუმ-რობათ ღებულობდნენ, იცინოდნენ და თან უკვირ-დათ, რომ ყოველთვის ჩუმი და წყნარი სიმონა, ეხლა ასეთი მხიარული იყო.

— შენ გაცოცხლა ღმერთმა!.. დღეს რაღაც მოწყენილი ვიყავი და ცოტათი ეხლა ვავმხიარულ-დი,—ამბობდა კმაყოფილი კატო.

მათლაფაძე ჯერაც არ დამშვიდებულიყო; ის ეხლა ბედნიერათ სთვლიდა თავის თავს, რომ ჯერ-ჯერობით ასე გაიმარჯვა. რაკი ვამბობდი ნაც-ნობებში მეტი... აბა ისე ვინ წავიკარებს!—ამბო-ბდა სიმონა თავის გულში. ამ გვარათ გაატარა მან თავის ნაცნობებში პირველი საღამო. ამის შემდეგ ის წათამამდა და სპირიდონისას სიარულს ძალიან დაუხშირა. ამასთანვე ის არჩევდა უფრო ისეთ დროს, როცა სპირიდონი სახლში არ იქნებოდა. მაგრამ მას არც აქ გაუღიმა ბედმა. სპირიდონის სახლობა ერთი ორჯელ კიდევ სიცილით შეხვდა მის საქციელს, მაგრამ როცა მან სიარულს დაუხ-შირა და სახლვარს გადააცილა, მიხვდნენ რომ რა-ღაც სხვა დაფარული აზრი ამოქმედებდა. მეტად-რე ცაბოსათვის აშკარა შეიქნა მისი სულის კვეთე-ბა მაშინ, როცა მან ერთხელ ბნელ კუთხეში დაი-ქნა ცაბო და კოცნი მათუნდომა. ცაბომ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია:

— ხომ არა გააკეთებულხარ შენ ვიღაც ხარ! —უკმაყოფილოთ წარმოსთქვა ცაბომ როცა თავი გაინთავისუფლა და შორს გადავა.

— კარგი თუ ღმერთი გწამთ!.. დანებე თავი მაგ შენს სისულელეებს; ხუმრობა ჩვენ ერთი ვიცით და ორი!—უთხრა მას ერთხელ გამბრუნებულმა კა-ტომ.

ერთი სიტყვით მათლაფაძემ თავი მოაბეზრა სპირიდონის სახლობას; მან მათ თვალში დაკარგა ის მცირედი ავტორიტეტი, რომლითაც ის წინათ სარგებლობდა. მას თავსაც აღარავინ უკრავდა ხე-რიანათ, კეუზზე შემედარათაც კი აღიარეს და სა-შინლათ დაცინოდნენ პირს უკან. ეხლა მათლაფაძეს ბრახი მოუვიდა. რერთი ენახო მას მიწაშენ?—ჯი-ნაზე აღარ მივსცემ მოხვენებას! დამიშლიან?.. ისეთ მაქმეს მოუხერხებ რომ რომ სამუდამოთ თავს მთე-სჭრი, გარეთ ვეღარ გამოყოფენ თავს; სირცხვილს ვაქმევ, მოგვჯავს!.. ფიქრობდა ის. გადაწყვიტა

რაც უნდა დამართოდა უკან არ დახეულიყო. მო-
იხელებდა თუ არა მარჯვე დროს მოპყვებოდა გი-
გონილ გარყვნილ ამბების ლაპარაკს და თან მართ-
ლებას დაღწევბდა იმ ამბების ჩამდენ გვირგებს:

— რა არის აბა ნათესაობა?... ავიღოთ მაგა-
ლითი: შენც სურვილი გაქვს და მეც, რამ უნ...

— გაჩერდი, გაჩერდი!.. ნუ სულოვლობ!..
სხვა რამეზე ილაპარაკე! თუ ქუუაზე შეცდი საგი-
ეთში მიბრძანდი!—გააწყვეტინებდა მას ბრაზ-მო-
რული ცაბო და მოშორდებოდა. „არ მოგასვენებ
არა!“—ამბობდა თავის გულში მათლაფაძე და თან
ამაყვბდა, რომ ის ასეთი გაბედული შეიქნა ქალებ-
თან.

ერთ საღამოს ჩვეულებრივ ფრთხილათ შეაღო
მათლაფაძემ სპირიდონის სახლის კარები და თვალ-
წინ შემდგვი სურათი წარმოუდგა: სპირიდონი, მი-
სი ოჯახობა, გარდა ვაჟიშვილისა და ვიღაც უცხო
ქალი და კაცი სუფრას შემოსხლმოდნენ და საქ-
მელს შეექცეოდნენ. მათლაფაძის ყურადღება უცხო
ქალმა და კაცმა მიიპყრა. ქალი მეტათ ღამაზი
ჩვენა მას. კაცი ასე 28 წლის იქნებოდა, სოფლოურ
ტანისამოსში გამოწყობილი, შავვრემანი და ძვალ-
მსხვილი. ესენი იყვნენ ცოლქმარნი, სპირიდონის
ოჯახობის სულ ახლო ნათესაეები, რომლებიც სო-
ფლიდან სტუმრათ ჩამოსულიყვნენ სპირიდონისას
და თან კარგი ძღვენი მოეტანათ- ღვინო, შემწვა-
რი გოჭი და ინდაური, ხაჭაპურები და სხვა. მათ-
ლაფაძემ სხვათა შორის ერთი ნაცნობი ახალგაზ-
და მოხეღეც დაინახა.

— სტოლთან, სიმონ, სტოლთან!—თამაშათ მი-
იწვია ის ღვინოთ შემხიარულებულმა სპირიდონმა
და უცნობი სტუმრები თვითონ მან გააქცო, რად-
განაც ცოლსა და ქალიშვილებს ამისთვის თავი არ
შეუწუხებიათ.

— შენც აქა ხარ? „საიდან საღაო წმინდა სა-
ღაო!“—ღმილით უთხრა ნაცნობ მოხელეს მათლა-
ფაძემ და დაჯდა. ის ერთხანს წყნარად იჯდა, მაგ-
რამ რამოდენიმე სტაქანი ღვინის დაღვევის შემდეგ,
როცა კარგად შემხიარულდა და შეთვრა, თვალში
იღარავინ გამოუჩნდა და სტოლზე უსრდელიათ ირ-
ჯებოდა. სტუმარ ქალს ის ეხლა პირდაპირ სქამდა
თავისი მსუნავი და წამოწითლებული თვალებით.
სპირიდონის ნათესაემა სოფელმა კაცმა მაშინვე
შეამჩნია მაოლაფაძეს უსრდელური და არა ჩვეუ-
ლებრივი საქციელი სუფრაზე. მის გრძნობა აფმღვრა
მუშტები მოკუშმა და სკამიდან ავარდნას ცოტაღა
დაუტლდა იმ დროს, როცა მათლაფაძე ურცხვად
შესცქეროდა ქალებს და სხვანაირათ იღრბებოდა;
მაგრამ როგორც იყო თავი შეიმაგრა და შემდგვი
სიტყვებით მომართა მას:

— ყმაწვილო, აქათ მოიწიეთ!.. კაცები ვართ
ჩვენ აქ რომ ვზივართო.—მათლაფაძემ მოხედა მას
ისე, როგორც ათვალისწუნებულს ადამიანს მოხე-
დავენ და ირონულათ იკითხა:

— რას გვიბრძანებთ?..

— აბა რა საკადრისია!.. ჩვენ აქ დროს ვატა-
რებთ და თქვენ კი იქ თქვენთვის ლაზღანდარობთ...
ეს არ არის პატიოსნება!..

— ეგ ჩემი სურვილია... მე მსურს დრო გა-
ვატარო ქალებთან;—წარმოსთქვა შეზარბოშებულმა
მათლაფაძემ და ხელახლა ქალებს შესცინა. ამ სი-
ტყვებზე სტუმარი ქალი ადგა და მეორე ოთახში
გავიდა.

— ბიჟო, ქეჟიდან ხომ არ შეშ...—ვეღარ
დაამთავრა სპირიდონმა, რომ უცებ სოფლელი ყმა-
წვილი ქორივით ეცა მათლაფაძეს და ზედი ზედ
ისეთი მაგარი სილა გააწნა რომ ის დაზარბაცდა.

— ა ბიჟო, მიშველე გრიშა! მომკლა ამ უსინ-
დისომ, —შესპარალისი ხმით შევეღრა სიმონა თა-
ვის ნაცნობ მოხელეს, მაგრამ გვიანღა იყო. სოფ-
ლეღმა ხელათ კარებთათ მიათრია ის ამოპკრა მა-
გარი პანღური და გარეთ გამოაღო. თავშიშვეღმა
სიმონამ სიმწუხარათ ამოიკენესა... მიხვდა რომ მი-
სი იქ გაჩერება არ ღირდა. ცოტა ხანს შეჩერდა და
თავის ოთახისკენ მოპკურცხლა.

ანათემა.

ო რ შ ა ბ ა თ ი

(გოდ. ერთ მოქმედებათ)
(შემდგვი. იხ. საღამური № 16).

გამოხვლა მერვე.

ანკო ფტუტრაშვილი და ონოფრე, შემდგ სოფით.

ანკო (დამეფევებული, გასათხოვარი. მეტის მეტი
ანჩხლია. მოდებს არ იკლებს. როგორც კი გაჩნდ-
ბა მოღა, მას არ ვამოვბარება. ბუნებრივათ უშნო
და უღაზათოა და არაფერი არ უხდება ტანზე. მუ-
დამ ცთილოღს ყვეღას ღამაზათ აჩვენენ თავი, მიხ-
ვღა მოხვღა და ლამბარაკი არა ჩვეულებრივთ აქეს.
ნერვებ აშლილიღ. საკმაოა ცოტა რამე აწყენინონ
რომ ისტერიკა მოსდის და თავგატეხიღვით ყვი-
რის. უკანასკნელ მოღაზე აცვია. თავზე ვეებერთე-
ღა შავი შლიბა ახურავს, ხელში ქოღვა უტირავს.
გადაქებება სკამს და წაიქცევა. საშინლათ დაიწვი-
ლებს. წამოვარდება გაანჩხლებული და ონოფრეს
მიუვარდება ქოღვით, რაც ძალა და ღონე აქვს
უყვირის,) ააა! შე არამხადავ შე საღახანავ! რო-
გორ გაბედღ! როგორ გაბედღ! ღმერთო კი მომკა-
ლი! როგორ გაბედღ შე ტუტუტო! განა მე ვინ

გგონივარ?! (უნდა ქალგა ატაკოს თვალეშში) არა, ერთი მითხარი ვინ გგონივარ ვინ? ვაი სირცხვილო! ვაი სირცხვილო! არა, როგორ ვამიბედ შე ტურტლიანო შენა. როგორ შემიძლია ვეიტანო ეს შეურაცხყოფა! დმერთო! დმერთო! (დაეშვება იქვე სავარძელში და ისტერიული ტირილი აუარდება).

ანოფრე (თავზე ხელს იფარებს და თან იცი-ნის. ხმაურობაზე სოფიო გამოდის).

გამოსვლა მეცხრე.

ივინიფე და სოფიო.

სოფიო (გაოცებული დარჩება, მივა და მოეხვე-ვა ანიკოს) ანიკო, გენაცვალე, რა მოვივიდა, რა იყო. რა მოხდა? გონს მოდი რას ჩადიხარ? რა ამ-ბავია შენს თავს.

ანიკო (წამოდგება და ტირილით). დღეის შემ-დღე მე აქ ფეხს აღარ დავადგამ, არა და არა. ასე-თი შეურაცხყოფა წარმოუდგენელია.

სოფიო. აღარ იტყვი ანიკო, რა ამბავია?

ანიკო (ბრაზიანათ). რა ამბავია?! განა შე-იძლება ადამიანი მოვიდეს აქ, როცა ასეთი უზრდე-ლი და თავაშვებული მოსამსახურე გყავს?! ჯერ მთე-ლი საათი ვარეთ მალოდინა, შემდეგ როგორც იქ-ნა მადირსა, ვალო კარები, მაგრამ ვაი ამისთანა გავლბას შიგ კარებში სკამი ჩადგვა, ვადავებზე და კინალამ კისერი მოვიტყრიე კისერს ვინლა ჩიოდა, შლიაზა კინალამ გავაფუქე. აბა სამ თუმნიანი შლა-პა, რომ გამეფუქებინა, ერთი მითხარო, ეგ ტურ-ტლიანი მიზღავს? გავონილა ასეთი თავხედობა?! აბ. ეს მოსათმენია? (ისევ ტირილი აუვარდება).

სოფიო (გაანჩხლებული). არა, ეს რა ამბავია ბიჭო? (მივა ახლოს და ფეხების ბრაზუნით უყვი-რის) ერთი მითხარი რაებს ჩადიხარ? როგორ იხდღ თავი ბიჭო?

ანოფრე (ეშმაკურათ ილიმება). ჩემი ბრალი არ არის, ქალბატონო, ბატონს მივფარებდი, სავარძე-ლი სკამს წამოვლო და წაიქცა. შემდეგ რაკი ზა-რის წკარუნთ თავი მომაბეზრა ავდექი და მეც გავ-ვლდე კარები და სკამის აღება კი ვერ მოვასწარ ისე ჩქარა შემოვიდა — თქვენ მიბრძანეთ კარები არა-ვის გაუღო და ჩემი დანაშაულობა ის არის, რომ გავუღე.

სოფიო (ილიმება). თუ მეორეთ გაგიბედნია ასე-თი თავხედობა იცოდე ერთ საათს არ დავაყენებ (ანიკოს მოვიხვევა). კარგი, კმარა ანიკო, უნებლიე-თი მოსვლია აბატიე. წამო წავიდეთ ჩემს ოთახში გული დამიშვიდე (მიჰყავს).

ანიკო (ზღუქუნით) დიახ, უნებლიეთ, ასეთ უზრდელებს მუდამ ასე მოსდით.

ანოფრე (ღმილით) კი, თქვენ ნუ მომიკვდე-ბით, ბატონო უნებლიეთ მომივიდა.

სოფიო. რა ჯოჯობეთი ორშაბათი გამითენდა დღეს. სწორეთ გასაოცარი დღეა.

ანოფრე. აკი გითხარით, ქალბატონო, ბეჯი-თათ კვიმატი უნდა იყოს დღეს, ამას დიდი დავი-დარაბა არ უნდა. მარცხი მარცხზე მოდის.

სოფიო (შემობრუნდება კარებთან) ბიჭო, შენ ცოტა ენას მოუყელი და როგორც გიბრძანებენ ისე მოიქეცი, სისულელე ავაფერი ჩადინო კი-დღე თორემ აღარ მოვითმენ. თუ ვინმე მოვიდეს ჯერ კითხე ვინა ხარეთ თქო, თუ ნათესავი ვინმე იყოს გავუღე კარები და თუ არა უთხარი სახლში არავინ არის თქო (შეღიან ოთახში).

გამოსვლა მეათე.

ანოფრე მარტო, შექდე სოფიო და ვაროდოვიო.

ანოფრე (ჩაჯდება სავარძელში) რა ახირებულ ხალხს ვადავეციდე ნეტა სულ ლაქიობაში უნდა ამომხდეს სული? ერთი იმ დღეს მოვესწვროლე ერ-თი, რომ „ბიჭო“ მეთქი ვინმეს დავუხმებდე, მა-შინ იქნება ჩემი აღდგომა. ისე შევიფერებ ბატო-ნობას, რომ ზინებულათ. (ფეხს ფეხზე გადაიდებს) ისე დავუბრაზუნებ ფეხებს და ისე ვუყვირებ, რომ მგონია შიშით სული ამოხდეს. (გაისმის ზარის წკრიალი და თან კარების ბრაზუნი). ოჰო, ბიჭოს, ეს დიდი ვინმე უნდა იყოს, უთუოთ ან დენერალი იქნება, ან პრისთავი. აბა ცოტა დავიკადე. (უფრო ძლიერათ არახუნებენ კარებს და ზარს რეკენ) ეჭვ, აღარ ხუმრობს ვილაც არის. აბა ვკითხო. (მივა კარებთან და ვკითხება) ვინა ბრძანდებით?

სმა გარქანს. პოლიცია! გააღე კარები!

ანოფრე (გაოცებული). ვაი! ხომ ვსთქვი პრისტავი იქნება მეთქი. ეხლა რა ექნა არ ვიცი. გავულო კარები თუ არა? პოლიციას უთუოთ უნ-და გავულო, მასთან უარი არ ვარბო, თუ არ გავუ-ლე, თვითონ გააღებს და გვერდებს მომამტკრებს. გავუღებ, მარა ჯერ ქალბატონს შევეკითხები (მივა და ეძახის) ქალბატონო!

სოფიო (ოთახიდან) რა ვინდა?

ანოფრე. გამობრძანდით, ქალბატონო, ვილაც მოვიდა.

სოფიო (ოთახიდან) მოვიდა და უთხარი სახლში არავინ არისთქო.

ანოფრე (შიშით) როგორ შეიძლება, ქალბა-ტონო, პოლიცია არის, უბრალო ვინმე კი არ გე-გონოსთ, მე ვერ ვეტყვი, თქვენ თვითონ გამობ-რძანდით და უთხარით, თორემ სადაც არის კარებს შემოამტკრებენ (საშინლათ აბრაზუნებენ კარებს).

სოფო (გამოდის) რა იყო, ბიჭო, რა ამბავია, ვინ არის?

ონოფრე. პოლიცია, ქალბატონო, პოლიცია.

სოფო (ცოტა ჩანს შეჩერდება). მერე რა ვქნათ ესლა, გავულოთ?

ონოფრე. იმე! გავულოთ, რომელია, რომ არ გავულოთ თვითონ ვაადებენ და ონოფრეს გვერდებში იკითხოს მაშინ, თორემ თქვენ რა გიჭირსთ, მე ჩამამტვრევენ გვერდებს.

სოფო. რა გაეწყობა, გულე.

ონოფრე (მიდის კარებისაკენ) ღმერთმა გაშოროს ქალბატონო შვე ჭირს, ხოლერას და პოლიციას. (აღებს კარებს და იქით მიდგება).

გამოსვლა მეთერთმეტე.

სოფო, ონოფრე და გორდოფოი.

გორდოფოი (მსხვილი მოსრული კაცია. ველური შეხედულება აქვს. გაბურძგვნილი წვერ უღვაში ხელი დავითრის წიგნი უჭირავს. შემოვა უზრდელათ, თავსაც არავის დაუქრავს. შემოვა უზრდელათ, თავსაც არავის დაუქრავს. წაღების ქუსლებზე ნაღები აკვრია და საშინლათ აბრახუნებს ფეხებს. შეხედავს სოფიოს.) თქვენა ხართ სოფიო ხრამულაძისა?

სოფო (შიშით). დიახ, მე გახლავართ, რა გნება?

გორდოფოი. თქვენზე სახელმწიფო გადასახადი არის და უნდა მოგვცე. სულ 32 მ. და 40 კ. (გაშლის დავთარს და მიაწვდის კვიტანციას).

სოფო (ყოყმანობს და შედგე). არ შეიძლება ცოტა გვადროშო?

გორდოფოი (მტკიცეთ). კმარა დროება. ერთი საათი, ერთი წუთი არ შეიძლება. ყოველმა კაცმა უნდა იცოდეს თავის მოვალეობა. ესლავე, რომ ფულები არ ჩამაბაროთ პრისთავს ვერ დავენახებები. სოფო (წყენით). რა გაეწყობა. (შედის ოთახში გამოაქვს ფულები და აძლევს) ინებეთ.

გორდოფოი (გამოართმევს ფულებს, თავსაც არ დაუქრავს ისე მიდის კარებისაკენ. გაშორდება თუ არა კარებს, გამოჩნდება მალაქია ჩანჩურაია.)

გამოსვლა მეთორმეტე.

იგინივე და მალაქია ჩანჩურაია, გარდა გორდოფოისა.

მალაქია (შუა ტანისაა. თეთრი ტუყურკა და შავი შალვარი აცვია. თავზე ქილოფის ქუდი ხურავს. იღლიაში ტროსტი აქვს ამოჩრილი. ხელში საკვიტანციო წიგნი უჭირავს. ახალგაზდაა. მსუქანი, წვერ მოპარსული. ლაპარაკობს სხვა სხუბით, თითქმის პირში ცხელი კარტაფილი აქვსო. ლაპარაკის

დროს თვალებს ნაბავს. თუ დაიწყო ლაპარაკი რამდენიც უნდა უყვირონ, სანამ არ გაათავებს არ გაჩერდება. ისე სიტყვას არ იტყვის თუ დიდი რჩეი არ მიაყოლა ზედ. თავი განათლებულ კაცთ მოაქვს და ლაპარაკის დროს მუდამ სოციალურ კითხვებს ეპოტინება. მუდამ უმცაყოფილია. ისე აქვს წარმოდგენილი, თითქმის დიდ რამე საქმეს აკეთებდეს. შემოვა თუ არა, ქუდს მოიშვლებს, სოფო თვალს მოჭრავს, ხელებს გაასავსავს, საშინლათ გაანჩლდება, უნდა დაუყვიროს, უნდა მივარდეს და ვაგდოს გარეთ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. მდაბლათ თავს დაუქრავს, ვადანწყევს კისერს, თვალეებს დანაბავს და დაიწყებს სხვა-სხუბით და ხმა მალა... ონოფრე მუცელზე ხელებს მოიქერს და თავგამეტებით იცინის). ქალბატონო, სალამი, გთხოვთ მიცნობდეთ მალაქია ოთარის ძე ჩანჩურაია. სოფელ აბაშის მცხოვრები, სამეგრელოდან. ბურჯუა კაპიტალისტ ზინგერის აგენტი. დიახ, უწყალო ბედმა მარგუნა ფრიად და ფრიად სამწუხარო საქმისთვის მომეკლა ხელი. დიახ, ქალბატონო, თორეტულიათა, რომ გაეხინჯოთ აგენტობა: ეს იგივე ლაქობაა, კიდევ უარესი, აგენტობა ფრიად საზიზღარი საქმეა, დიახ, იქ ვეროაში მხარეთმოზე წამოწოლილა ვილაკ ზინგერი, ჩვენ აქ ვასაღებთ ამ საქონელს, ზინგერი კი იქ განცხრომაშია, — ფულები კი მის ჯიბეში მიჩხრიალებს. დიახ, ქალბატონო, ასეთი საზიზღარი მოვლენა, თვით სოციალურ პირობების წარმოშობილია. დიახ, დღეს აუცილებელია ეს ასე უნდა მოხდეს დღეს, მე, როცა შემიძლია სხვა მხრილი უფრო მეტი სარგებლობა მოვუტანო ხალხს, მივცე მას განგებრივი საზრდაო, იძულებული ვარ ასეთ სამარცხვინო ხელობას დავადგე.

სოფო (მოთმინებიდან გამოსული გააწყვეტივნებს). რა გნებაეთ? რა! რა!

მალაქია. დიახ, ბატონო, მე უბრალო ვინმე არ გეკონოთ, ინტელიგენტი კაცი ვარ. დროთა და გარემოებათა წყალობით იძულებული შევიქნე ამ სამარცხვინო ხელობისთვის მიმეყო ხელი დავდვარ, ვასაღებ მანქანებს, ვაგებრებ ხალხს თავს.

ონოფრე (სიცილით კვდება, თავისთვის) სწორეთ ზედ გამოჭრილი ჩვენი სოფლის დიაკვანს არა ვავს ეს ოჯახ-ქორი ვილაკ არის?

სოფო (გაანჩლებული). კი, მაგრამ ერთი გვაგებინეთ, ღვთის გულისათვის, რა გნებაეთ, რისთვის მობრძანებულხართ.

მალაქია (შემკრთალი). დიახ, ბატონო, მცხენიან, საშინლათ მცხენიან, რომ გაწუხებთ, მაგრამ როგორც მოგახსენეთ ამის მიზეზი დღევანდელ სოციალურ პირობებში უნდა ვეძებოთ, რადგან...

სოფიო (თითქმის უყვირის) მეტი მოთმენა აღარ შემძლია. უკანასკნელათ ვახოვთ, ან სთქვით რა გნებავთ და ან მიზრძანდით ვართ.

შალაქია. დიახ, ბატონო, ხელავე მოგახსენებთ: სამწუხაროთ ჩემდა და სოციალური პირობების გამო იძულებული ვარ მოგახსენოთ, რომ როგორც ამ სოციალურ პირობების გავლენის ქვეშ მყოფს ელემენტს, გვერდი ვერ ავიხვევით ამ პირობებისთვის თქვენც ვერ ასცდენიხართ კაპიტალისტ ზინგერის კლანქებს აგილიათ მისი საყერავი მანქანა, ესლა მე იძულებული ვარ, უმოჩინოსად ვთხოვთ ხვედრი ფული...

სოფიო (გაანჩხლებული, პირიდან დორბლს ჰყრის. ფეხებს საშინლათ უბრაზუნებს). მომშორდით, მომშორდით თავიდან. გავგიჟდი, გავგიჟდი, მეტი აღარ შემძლიან. (ყვირის) სული რომ ამოგხდეთ ერთი გროშის მომცემი არა ვარ გესმით? თქვენ გეუხნებით! დღეს ერთ გროშს ვერ მიიღებთ, ტუილათ ნუ სცდებით. (ხელებს გაასავსავებს) ღმერთო, ღმერთო, რა ორშაბათი გამითენდა დღეს.

შალაქია (მზრუნველობის კილოთი). გული დაიმვიდეთ, ქალბატონო, თუ არა გაქვს არაფერი. ვანა შემძლია ძალა დაგატანოთ? მატერიალისტური თვალსაზრისით, რომ შეგვხდეთ ქალბატონო, დღევანდელი თქვენი აღშფოთება და შეწუხება პირდაპირ სოციალ-ეკონომიურ პირობების პირდაპირი შედეგია. (ნელ ნელა უკან იწევს და მიდის) მაგრამ გული დაიმვიდეთ, ქალბატონო... მაქვს პატივი გამოგეთხოვოთ (მდაბლათ თავს უკრავს და ჩუმბათ გაიპარება).

სოფიო (სასოწარკვეთილი ხმით) ღმერთო მაღლაო! გადამარჩინე დღევანდელ ორშაბათს. რა შავი ორშაბათი გათენდა, რა შავი! (მიდის ოთახისაკენ. მივა კარებთან შეჩერდება და მოუბრუნდება ონოფრეს) ბიჭო! წადი შენს ოთახში. ვინც რამდენიც უნდა რეკოს ზარს არ გამოხვიდე. გესმის? (შედის ოთახში).

ონოფრე. დიდის სიამოვნებით ამაზე ადვილი რალა იქნება.

გამოსვლა მეცამეტე.

სოფიო, შემდეგ ონოფრე.

(სცენა კარგა ხანს ცარიელია. უცბათ გაისმის ზარის წკრალი. არავინ გამოდის. კარგა ხანს რეკავენ ზარს განუწყვეტლივ, არავინ გამოდის. ზარის წკრალი და კარების ბრაზუნს არ სწყდება. ვილაკავეთ გართე ლაპარაკობენ და სარკმელში იხედებიან. კარგა ხნის შემდეგ ონოფრე გამოჰყოფს თავს, დაუდგებს ყურს ზარის წკრალოს, ხელს ჩაი-

ქნევს ლაზითანათ იცინის და შედის ისევ ოთახში. ზარის წკრალი არ სწყდება. ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან გამოდის სოფიო, ეტყობა მეტათ აღლევულია თითის ფრხილგზე მიდის სარკმელთან და იხედება. დაინახავს რა ხარაბუზიანს და ჩათლახამეს, ვეღარ მოითმენს, გააღებს სარკმელს და ბრაზიანათ გასძახებს).

სოფიო (საშინლათ გაბრაზებული) რა გნებავთ ვინა ხართ, რომ ასე უზრდელათ გვაწუხებთ.

შმა გარჯდან. ეს სახლი ვისია?

